ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1934280

ნომერი: AR1313668

თარიღი : 28.05.2015

გაცემის თარიღი : 04.06.2015

გაცნობის თარიღი : 04.06.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გარდაბანი , ბაგების ტერიტორია , (ნაკვეთი 10/258) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხათუნა ჩიკვატია პ/ნ 62006056704
- გალი თამარ მეფის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1313668 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.20.01.010.258) სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საკითხის სირთულიდან გამომდინარე მიღებული იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოიპოვა ინფორმაცია წყნეთი-ბაგების მიწებთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის (განაშენიანების) შესახებ და შეისწავლა აღნიშნული ტერიტორია. ჩატარებული სამუშაოების შემდგომ დამუშავდა ახალი ფუნქციური ზონირების რუკა, რომელიც განხილული იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" სხდომაზე და შემდგომ ქ. თბილისის საკრებულოს სხდომაზე, რომელთა დადებითი შეფასების შემდეგ განახლებული ფუნქციური ზონირების რუკა ძალაში შევიდა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს #9-56 გადაწყვეტილების საფუძველზე (იხ. დანართი). ხოლო თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: #01.20.01.010.258) მიენიჭა ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონის სტატუსი. ამასთან, მოცემული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ტყის ნაწილს, ხე–ნარგავებით ინტენსიურად გამწვანებულ ტერიტორიას.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) წარმოადგენს თბილისის (ადმინისტრაციულ) საზღვრებში არსებული ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად.

აქვე გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში (ლსზ) სპეციალური ზონალური ნებართვის საფუძველზე დასაშვებია საკულტო შენობა-ნაგებობების განთავსება.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.